სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

20 იანვარი 2025

N 21/235

შპს „ჰიდროპროექტს“
მის: ქ. თბილისი, გ. ხანძთელის №23
ელ. ფოსტა: i.tsurtsumia777@gmail.com

ასლი: სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიას

სააგენტომ განიხილა თქვენი 2025 წლის 13 და 14 იანვრის №22 და №114 სკრინინგის განცხადებები, რომლებიც ეხება მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ბიწმენდში, მდ. ახატნისხევის მარცხენა ნაპირზე ნაპირდაცვითი (ნაპირსამაგრი) სამუშაოების განხორციელებას.

წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებებში სრულად არ არის გათვალისწინებული დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით სააგენტოს 2024 წლის 23 დეკემბრის №21/13010 წერილში მითითებული საკითხები, კერძოდ:

- სკრინინგის განცხადებაში კვლავ არ არის განხილული დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებით გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად.
- წარმოდგენილ დოკუმენტაციაში მითითებულია, რომ დაგეგმილი საქმიანობა ხორციელდება შპს „ჰიდროპროექტსა“ და მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიას შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, თუმცა, ვერ დგინდება თუ ვინ არის საქმიანობის განმახორციელებელი. შესაბამისად, როგორც უკვე გეცნობათ, იმ შემთხვევაში, თუ ნაპირსამაგრი სამუშაოები დაგეგმილია მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, სააგენტოში სკრინინგის განცხადება წარმოდგენილი უნდა იქნეს მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ.
- წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ასევე დასაზუსტებელია დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაცია, კერძოდ, ვერ დგინდება დაგეგმილი საქმიანობა ითვალისწინებს ახალი ნაპირსამაგრი ნაგებობის (რკინაბეტონის კედელი) მოწყობას, თუ არსებულის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციას. ამასთან, „მშენებლობის გრაფიკის“ თავში განხილულია წყალსადენის სისტემის მოწყობა. გარდა ზემოაღნიშნულისა, „მშენებლობის განხორციელების გეგმის“ და „მშენებლობის გრაფიკის“ თავებში სამუშაოების ხანგრძლივობასთან დაკავშირებით მოცემული ინფორმაცია ურთიერთშეუსაბამოა, ხოლო საპროექტო ნაპირსამაგრი ნაგებობის (რკინაბეტონის კედელი) პარამეტრები და საჭირო სამშენებლო სამუშაოები მოცემული არ არის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ვასილ გედევანიშვილი

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/235-21-2-202501201201